s a q a r T v e l o
Coxatauris municipalitetis sakrebulo

Coxatauri wereTlis q. #2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა #10

9 იანვარი 2012 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე, ტრაქტორებსა და სპეციალურ ტექნიკაზე შესასრულებელი სამუშაოების შესწავლის, მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების სამუშაოების მიღება–ჩაბარების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე, ტრაქტორებსა და სპეციალურ ტექნიკაზე შესასრულებელი სამუშაოების შესწავლის, მიმდინარე და კაპიტარული შეკეთების სამუშაოების მიღება–ჩაბარების მიზნით

ვბრძანებ:

1. შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

– გია გიორგაძე – მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის თავმჯდომარე;

– ვლადიმერ გოგიბერიძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

– თენგიზ ცენტერაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის სპეციალისტი – კომისიის წევრი;

– პაატა ბერიშვილი – მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის წევრი;

– მამუკა სანიკიძე – მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის წევრი;

– შორენა კაჭარავა – მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის სპეციალისტი – კომისიის წევრი.

2. დაევალოს კომისიას:

ა) მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებების, ტრაქტორების, სპეციალური ტექნიკის შეკეთების მიზნით შესასრულებელი სამუშაოების შესწავლა და სადეფექტო აქტის გაფორმება.

ბ) მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებების, ტრაქტორების, სპეციალური ტექნიკის მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების სამუშაოების მიღება–ჩაბარება;

3. ძალადაკარგულად გამაოცხადდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 2 თებერვლის N29 – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურისა და სხვადასხვა ობიექტებზე, ასევე მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ სატრანსპორტო საშუალებებზე, შესასრულებელი სამუშაოების შესწავლისა და მოცულობის დადგენის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ და 2011 წლის 15 აგვისტოს N119 – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბალანზე არსებული სატრანსპორტო საშუალებების, ტრაქტორების, სპეციალური ტექნიკის მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების სამუშაოების მიღება–ჩაბარების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ ბრძანებები.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი ედიშერ ჯიბუტი